1947

№ 18. 1947 წ.
გამოცემის წელი XXV.
ფასი 2 მან.

ᲡᲐᲯᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲝ ᲪᲐᲚᲚᲔᲑᲘ
ᲝᲜᲐᲢᲘ ᲔᲜᲔᲛᲘᲠᲐᲫ

თბილისი.
გამომცემლობა
„კომუნისტი“.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ნახ. ა. ქანდელაკისა

სწორი პასუხი

— კაცო, ახლახანს ძლივს დავამთავრეთ და ისევ რემონტი დაიწყეთ?
— რსა იზამ? ჩვენს დირექტორს სახლში ერთი ოთახი დარჩენია გასარემონტებელი!

ომისშემდგომი კრიზისის გამწვავება აიძულებს ინგლისის მმართველ წრეებს იქანაოს ამერიკის კაპიტალისტებისა და შინაური ფაშისტური ელემენტების გავლენის შუა.

გაზეთებიდან

განთქმულია ქვეყნად მოლა მასრადინა,
მისმა ოინებმა ვინლა არ აცინა?
სიტყვამოსწრებული და წინდახედული
კაცი იყო თურმე, საქმეს ჩახედული
და ცდილობდა ისე დაგხარჯა აზრი,
რომ ის გამხდარიყო „საქონელი ბაზრის“.
და, რაღათქმა უნდა, რასაც აკეთებდა,
გაზომ-გამოზომდა და ისე იწყებდა.
ჰოდა ერთხელ თურმე ჩაუფიქრდა მოლა,
რომ საზარალოა ერთი ცოლის ყოლა:
— ეს ჩემი ხანუმა,—თავისთვის სთქვა უცბად,
როგორც თვითონ ვხედავ—უკვე მომიხუცდა,
თანაც ვატყობ ჩემზე —აიყარა გული:
მე რომ ვმღერი—იგი ზის დაღონებული.
ალლახს ვფიცავ, სჯობს რომ აღარ დავახანო
და მეორე ცოლი სახლში მოვიყვანო,—
სიტყვა საქმედ იქცა და მოლამ სულ მალე
მიიყვანა სახლში ახალგაზრდა ქალი.
სიამტკბილით შეხვდნენ—ცოლები ერთმანეთს,
მაგრამ ხასიათით იყვნენ სხვადასხვანი:
ძველ ცოლს ჰსურდა—ქმარი მოხუცი ჰყოლოდა
და თმა-ულვაშ-წვერი სულ თეთრი ჰქონოდა
ახალს კი სურდა, რომ მასრადინას თმები—
შავი ყოფილიყო—როგორც ყორნის ფრთები.
ეს სურვილი ორთავ განუცხადეს ქმარსა,
და ქალურ სიკერპით აუხირდნენ თარსად:
— არა მე მიყვარხარ,—აცხადებდა ერთი—
უარ ეარ მითხ£ა, არ გაგიწყრეს ღმერთი
და როდესაც ნოხზე დავჯდე—საცოდავი,
მომიჯექ და მუხლზე დამიდევი თავი.
გიალერსებ თმებზე—გული სხვას არ ეძებს—
მხოლოდ ამოგწიწკნი მაგ თმებში შავ ბეწვებს.
—„ბაშუსტა“-ო უთხრა მოლამ—მოხუც ცოლსა,—
როგორ გაწყენინებ სიჭაბუკის ტოლსა?
— არაფრის გულისათვის!—უთხრა ახალგაზრდამ,—
ჩემს კალთაზე დასდე თავი—შენმა გაზრდამ!
მსურს რომ თეთრი თმები მოგიცილო თავსო
და ამით ნამდვილად ჭაბუკს დაგამსგავსო!
— „შენც ბაშუსტა!,—უთხრა მოლამ ახალგაზრდას!..
წყვილად დასხა... თავი წყვილ კალთაზე დასდო,
და ცოლების „ალერსს“ მიანება იგი,
მიესივნენ მოლას ცოლები რიგ-რიგით
და ბუწუწებს გლეჯდნენ სამარგელის მაგვსად
ახალგაზრდა თეთრს წიწკნიდა მოხუცი კი-შავსა!
და იმდენი „უალერსეს“, იმდენი დაუთმო,
რომ „საყვარელ“ ცოლთა ხელში დარჩა მოლა უთმოდ!
ძველი არის ეს თქმულება—
ანეგდოტად თქმული
და ჩვენამდე მოსულია,
რომ ვიცინოთ გულით,
მაგრამ მარტო გაცინებას
შეუძლიან განა,
სერ ჯონ-ბულის ლაფში ჩაფლულ
ურმის ამოყვანა?
არა... და მან გადასწყვიტა—
საქმე რომ არ წახდეს,
საჭიროა მასრადინას
მიმბაძველი გახდეს.
და ორმაგი ცბიერების
კალთაზე სდებს თავსა,
რომ ბუწუწი აგლეჯინოს
იმ ძველ მოლას მსგავსად.
„ბაშუსტა“... დე იხეიროს!
მაგრამ მოლასავით,
ალბათ ვნახავთ—ლაპლაპებდეს—
მის მელოტი თავი.

ფარსადანი

ამერიკული ცეცხლმაქრი

ნახ. ბ. კანდელაკისა

ამერიკელი კაპიტალისტი: ხომ ჰხედავს მთელი ქვეყნიერება. როგორ გულმოდგინედ ვცდილობ ომის ცეცხლის ჩაქრობას.

...გინდა ცხონდე?

მექსიკის დელეგატმა ტორეს ბოდემ გენერალურ ასამბლეის პლენარულ სხდომაზე სასტიკად გაილაშქრა საბჭოს მუდმივი წევრების ერთხმივობის პრინციპის წინააღმდეგ

გაზეთებიდან

მექსიკელო ტორეს ბოდე,
რა წამოგცდა, რა იბოდე?
გულს რომ უგებ რეაქციას,
საიქიოს გინდა ცხონდე?

ღარ ბნელა, ტორეს ბოდე,
ჩანგალს უკვე ვერვის მოდებ.
რეაქციის დაკრულ ტაშზე
რომ თამაშობ, გინდა ცხონდე?

ხალხს აღარ სურს რომ ომობდეს,
ვერ მოგართვეს ტორეს ბოდე!
და ეგ შენი შავი ზრახვა
შეინახე, შენთვის გქონდეს.

მ. კალმოსანიძე

ოკუპაციის ამერიკულ ზონაში

დარტმშტადტის საკონცენტრაციო ბანაკში (ოკუპაციის ამერიკული ზონა) მოთავსებული გერმანელი ფაშისტები ცხოვრობენ, როგორც სანატორიუმის დამსვენებლები.

ნახ. ა. კანდელაკისა

გაზეთებიდან

— შეამჩნიეთ რა ნაღვლიანად გამოიყურებოდა ჰერ კეპკე?

— რას ნაღვლობს?

— მას გამოუცხადეს, რომ ხვალიდან ანთავისუფლებენ კონცბანაკიდან.

ბოროტი და კეთილი

(იგავი)

იყო ერთი გლეხი კაცი
მდიდარი და მეტად ავი,
დღენიადაგ წუწუნებდა:
მქისე ვარო, საცოდავი!

მის მეზობელს ღარიბ თედოს,
უმწიკვლოს და უბოროტოს,
მუდამ ჰქონდა ლუკმა პური,—
არ იდებდა არავის ცოდოს.

იმ მდიდარმა ერთხელ ზეცას
შეჰღაღადა, უთხრა ასე:
— ღმერთო, ღმერთო, ერთხელ მაინც
ჩემი თხოვნა დააფასე.—

ბევრს არას გთხოვ, ხარი მინდა!
თუ მიბოძებ ერთ წყვილ ხარსა,—
მაშინ ბოლო მოეღება
ჩემს გოდებას ათასგვარსა.

ღმერთმა უთხრა: „მოგცემ ერთ წყვილს,
დაიხსომე ეს კი მტკიცედ,
რომ შენს გვერდით, ღარიბ თედოს,
ორი წყვილი უნდა მივცე.

შემდეგშიაც მე შენს თხოვნებს
შევასრულებ სულ იოლად,
ოღონდ თედოს, რასაც შენ მთხოვ,—
უნდა მივცე—ერთი—ორად!“

მაშინ გლეხმა, იმ ბოროტმა.
ღმერთს შეჰკადრა სიტყვა მწარე:
— თუ ასეა, გთხოვ უფალო,
ერთი თვალი ამომთხარე!

ფიროუზა

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ისაკენ გამოცდები

ჩვენი ახალგაზრდობა უმაღლესი განათლებისაკენ ისწრაფვის და ბუნებრივია, რომ თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში ყოველთვის დიდი კონკურსია.

რამდენიმე წლის წინ მეც საკონკურსო გამოცდების ჩაბარების შემდეგ მიმიღეს უმაღლეს სასწავლებელში, ახლაც მღელვარებას იწვევს ჩემში მისაღები გამოცდების მოგონება. საგულისხმო ისაა, რომ უმაღლესში მიღების ეს ციებ-ცხელება ყოველწლიურად მეორდება ჩემი უშუალო მონაწილეობით.

ამ ზაფხულს ერთმა ჩემმა სოფელმა მეზობელმა ჩამოიყვანა თავისი ქალ-ვაჟი. თანაც ერთი კილოგრამი ჩაი და ერთი ბოთლი სანთლის არაყი მომიტანა ძღვნად.

— გამოცდებისათვის მოემზადნენ?—შევეკითხე მოულოდნელ სტუმარს.

— გოგო საუკეთესოდ სწავლობდა, მაგის იმედი მაქვს გამოცდებს ჩააბარებს, ბიჭი კი—ცოტა ვერ უნდა იყოს მთლად მაგრად, რადგან ალგებრაში, ტრიგონომეტრიაში, ქართულში, რუსულში და კიდევ რამოდენიმე სხვა საგანში ჰქონდა კოჭლად საქმე.

— რომელ ფაკულტეტზე გინდა შეიყვანო შვილები, ბიძია ეპიფანე?

— ეთერს სამედიცინო ინსტიტუტში სურს შევიდეს ვანოს—იურიდიულზე—პროკურორი უნდა გამოვიდეს ვიცი, ცოტა ძნელი კი უნდა იყოს სამედიცინოზე და მგონი იურიდიულზეც მიღება, მაგრამ შენისთანა კაცი ერთს რომ დაურეკავს—გათავდა, მიიღებენ! შენთვის ჩამიბარებია აგი ყაზილარები, შენ იცი და მაგათ.

— ბინაზე არ შეშინდე—განაგრძო ეპიფანემ—ამ გამოცდების დროს, თუ არა მერე ოთახს ვუშოვი, — ან საერთო საცხოვრებელში მოვაწყობ, შენ არ შეგაწუხებ.

ბევრი ვეცადე სხვა დარგი აერჩიათ, მაგრამ არ იქნა და არა, ექიმობას და ვექილობას არ მოეშვენ. **წარმოიდგინეთ ჩემი გაჭირვება**—სამი სულის შენახვა დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში.

მძიმე **განსაცდელში** ჩავვარდი.

მეორე თუ მესამე დღეს ბიძაშვილი მოვიდა, ქალიშვილს ამზადებდა სამედიცინო ინსტიტუტში შესაყვანად. მამიდაშვილიც თავისი ვაჟის სამედიცინოზე მოწყობას ცდილობდა. ცოლის მეზობლის აღზრდილი მზარეულის შვილი ფარმაცევტიულ ტექნიკუმში აპირებდა შესვლას, მეზობლების შვილები—საინჟინროზე და საფერშლოზე, ჩემი პარიკმახერის შვილი—კბილის სტექნიკოზე. ერთერთ შორეული ნაცნობს შვილი ისტორიულზე სურდა შეეყვანა. ბორჯომიდან ჩამოსულმა სატყეო ფაკულტეტი აირჩია, ბათუმიდან ჩამოსულმა გოგონამ—სათეატრო ინსტიტუტი და... ჩემს მაგიდაზე დაგროვდა ერთ ფუთამდე დოკუმენტები.

დიდის ვაივაგლახით შევიტინე ყველა ეს დოკუმენტები სათანადო სასწავლებლებში. „ვაივაგლახით“ ვამბობ იმიტომ, რომ ზოგიერთ ინსტიტუტებსა და ტექნიკუმებში განცხადების მიღებას ჩარიცხვაზე უფრო ძნელი პროცედურა დასჭირდა.

დაიწყო გამოცდები. ყოველ დღე რამდენიმე კარგ ნიშანს და რამდენიმე ორიანს ღებულობდნენ ჩემდამი **რწმუნებული აბიტურიენტები**

მე მათზე მეტად ვღელავდი. ზოგჯერ ვერ ვარკვევდი: მე ვაბარებდი გამოცდებს თუ ისინი.

რამდენჯერმე აბიტურიენტების მშობლებს ერთმანეთში წალაპარაკებაც კი მოუვიდათ იმ მოტივით, რომ მე ერთ მათგანს ალბათ მეტ ყურადღებას ვაქცევ და ამიტომ მიიღო მისმა შვილმა კარგი ნიშანი, ხოლო მეორეს—ყურადღება არ მივაქციე და იმიტომ ჩაიჭრა.

სამართლე გითხრათ, ჩემი მოვალეობა მხოლოდ განცხადებების შეტანით ამოვწურე.

სახლში რომ ვერ მნახავდნენ, წერილებს სტოვებდნენ. ასე, რომ თითქმის ყველა სასწავლებელში წარმოებული გამოცდების კურსში ვიყავი.

ერთერთი დედა თავის მოკვლით იმუქრებოდა თუ მის შვილს ინსტიტუტში არ ჩავარიცხვინებდი და, რაც მთავარია, ამ მკვლელობის მიზეზად მე მასახელებდა.

დამთავრდა გამოცდები.

ჩემი აბიტურიენტების ნაწილი ინსტიტუტში ვერ მოხვდა. სამიოდე ბიძაშვილ-მამიდაშვილმა, თავიანთი სიტყვით, სამუდამოდ დამკარგეს. ოთხამდე მეზობელი დამემდურა და თანაც შემპირდნენ ჩემს ყველა ნაცნობს ეტყვიან ჩემი ასეთი უსულგულო დამოკიდებულების და დაუხმარებლობის შესახებ.

გამიჩნდა ახალი საგონებელი და ვერ გავარკვიე რა დანაშაული მიმიძღვოდა?

მტკიცედ გადავწყვიტე, მომავალ წლამდე თუ მივაღწიე, ჩემი შვებულება აუცილებლად მისაღებ გამოცდების პერიოდისათვის ავიღო და სადმე შორს წავიდე, რომ აბიტურიენტების მშობლებმა ვერ მომაგნონ. სხვა გამოსავალი არაა. ყოველ წელიწადს ამდენი ვაი-ვაგლახის გადატანა აღარ შემიძლიან.

მეხი

ქარხნის კანტორაში.
— ორად ბაბოდგა ჩვენ ნიკა, რა თანამდებობაზეც ეი ბაბოსკადეს - ყველგან წუნი დასდეს...
— ბაშ ახლა ალბად წუნმდებელად დანიშნავენ.

ქარაფეტ ქარვაში
— ააშენოს ლიტრონმა ფაბრიკა „ბეკრაკ-ბარექცია, ყოველლოლ სამოცი მანეთის ღიოს ჭოელობ

ოთაკისებურად გაანმარტა.
— რაკლომ ჭკვიან ამ საველოსნოს ბოდების აძლიეთ?
— იმიტომ, რომ დაბეკეთ, რომ წეშსაკენ ბოსლებენ, სანამ ეროი სამაგალ არ გადაანდეკინებენ, ოდ არ გაუბეკენ.



1. როცა სასამართლეში ლამბიერი წუნმდებელია...

2. ვიტრინაში წუნი მაკლიობს

იცის რას აკეთებს.
— რა ჰაპირობს დაკეტეს ეს ბოიკალაქე?
— ბორველი ქარხნის ჰაპირობს ირჩევს.

ძმაკიდად უყურებს.
ბაბია — ირიკა, ბაბოლო, ალბერ, ბაბა ეპეკრება დედას, რომ ბაკეს ჩამოსრბრობს!
ბეიოლიბეიოლ — ირაკერია, ბებიაო, იცის დედამ, რომ ბაბა ბაკეს ირტყლის ბიერ ბამოშვებულ თოიოთ ეპირებს თავის ჩამოხრბრობას!

სტანდარტის მსხვერპლი.
— საკვირველია, ეროი ლეკი დაკბერეს, ეკბოთ ეპირეს, ბეზდეგ ბეთი ისეთივე ლეკი დაკბერეს და ეროვნულ ეპირეს ალეანდლაკენ

ბარა ლეკი

ცნობისმოყვარე ბესი

[illegible]

— ეს ეიეი ჩემი ეიეია, ეს ბესიანია ეიეია, ეს ბესიანია ეიეია ეროვნული ეიეია, ეროვნული ეიეია ეროვნული ეიეია, ეროვნული ეიეია ეროვნული ეიეია.

— ეროვნული ეიეია... ეროვნული ეიეია ეროვნული ეიეია, ეროვნული ეიეია ეროვნული ეიეია ეროვნული ეიეია.

— [illegible]

— [illegible]

— [illegible]

„კრიტიკული“ მომენტი

ნახ. დონისა

ფოტორეპორტიორი ეძებდა ყველაზე კრიტიკულ მომენტს, რომ აფსკზე გადაეღო თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა თამაში კიევის დინამოელებთან.



და აი, მიაგნო კიდეც ყველაზე „კრიტიკულ“ მომენტს.

„გამოსავალი“

ანუ გ. კუხალეიშვილის დარდი

ფოთის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის საავეჯო-სახერხი ქარხანა გეგმას ვერ ასრულებს. ამ გარემოებამ საგონებელში ჩააგდო ქარხნის დირექტორი კუხალეიშვილი. რა ქნას? სად ეძიოს მიზეზები?

სამი ღამისა და დღის განმავლობაში თვალი არ მოუხუჭია. გეგმის შესრულების სურვილით ანთებული მისი ტვინი ეძებდა მიზეზებს. ძილი რომ მოერია, სახეზე ცივ წყალს ისხამდა. ბოლოს, სძლია უძილობამ და სამი დღისა და ღამის განმავლობაში ეძინა. ტკბილი სიზმარი ნახა: ქარხნის ყოველ დაზგასთან უზარმაზარი ახალი ბოლოკი ამოსულიყო.

— მე ვარ ასი პროცენტი!—ამბობდა ერთი ბოლოკი.

— მე ვარ ორასი!—ეხმიანებოდა მეორე.

— მე ვარ სამასი!—გაჰყვიროდა მესამე.

ხოლო მეოთხე, ტანწერწეტა და ოდნავ ფერმკრთალი, აქეთ-იქით ირხეოდა და მინაზებული ხმით მღეროდა:

„რა ტკბილი ხარ ოცნებაო!“

კუხალეიშვილს რომ გამოეღვიძა, თვალი მიმოავლო ოთახს, პირი გააღო. არც ბოლოკი ჩანდა, არც სიმღერა ისმოდა. თვალები მოიფშვნიტა, ტანთ ჩაიცვა და ქარხნისაკენ გასწია.

„მაინც რა არის ჩამორჩენის მიზეზი?“—გზაზე ეკითხებოდა საკუთარ თავს.

კანტორაში კუხალეიშვილს მიესალმენ: ქარხნის ბუხჰალტერი, მოანგარიშე, ტექნიკური დირექტორი, ეკონომისტი, საწყობის გამგე, მექანიკოსი, სამი დარაჯი და ორი დამლაგებელი; ე. ი. სულ თერთმეტი კაცი.

კუხალეიშვილი ახლა ქარხანას ესტუმრა, ცხრა მუშა ებევრა, შუბლი შეჰკრა.

„გეგმა რომ შესრულდეს, საჭიროა ორ ადმინისტრატორზე ერთი მუშა მოდიოდეს. აქ კი ერთ ადმინისტრატორზე ერთი მუშა მოდის. ამიტომაც გეგმა ვერ სრულდება. საჭიროა ადმინისტრაციული პერსონალის გადიდება“,—გაიფიქრა მან.

კანტორაში ბუხჰალტერს ხელფასის უწყისები მოსთხოვა. უცებ ბედნიერების რამ შუქი დაადგა სახეზე. ერთმანეთს ადარებდა მუშებისა და მოსამსახურეთა ხელფასის უწყისებს. მაისის თვეში მუშების ხელფასს დასჭირდა 5243 მანეთი, ხოლო ადმინისტრაციულ პერსონალისას—8521 მანეთი.

„როცა ადმინისტრაციულ პერსონალზე დაიხარჯება ორჯერ 5243 მანეთი, გეგმა შესრულდება. საჭიროა გადიდდეს ადმინისტრაციული პერსონალი,—მტკიცედ გადასწყვიტა კუხალეიშვილმა.

ვუსურვოთ წარმატება... გეგმების შესრულებაში.

ახლოგელი

ყურმოკრუღიდან

ზოგიერთი დედა

— კაცო, შენ რადიოში ვიღაცა გყავს ნაცნობი.

— რა გინდა მერე.

— მე რომ მაბრალებ ყოველგვარ უკულმართობას, შენ ის რად არ გიკვირს რადიო რომ უკულმართად მუშაობს. იავნანას უკრავენ დილაობით. უთხარი ერთი, თუ კაცი ხარ, საღამოობით დაუკრან, იქნება როგორმე ბავშვი დავაძინო ხოლმე.

— კონსერვატორია ტყუილად დაამთავრე?

ერთი ამ სულელს, ამ უჭკუოს ამ უვიცს დამიხედეთ... შე მართლა სოფელში გაზრდილო, კონსერვატორიაში იავნანას ასწავლიან?!

ტრაბახა

— იცოცხლე ბაღლინჯოებს ვუტირე ყოფა!

— როგორ, გაქლიტე?

— არა, მთელი ზაფხული აივანზე მძინავს.

— ზამთარში რაღას აპირებ?

— ნუ გეშინია, არც მაშინ დავაყრი ხეირს. შეშას რომ არ ვიყიდი, ცივ ოთახში რას დამაკლებენ?

შესწორება

— ჩემი გამლახავი ჯერ კაცი არ დაბადებულა.

— ცოლმა რომ მიგბეგვა გუშინ?

— შე კაცო, ის ქალია, კაცი ხომ არაა.

პატიოსანი კაცი

— ერთი ამას დამიხედეთ! ეს ვინაა, საიდანაა? პური სწორად ავუწონე და სასწორს არც კი უცქერის. მე იმას რა ვუთხრა, ვინც ამისთანა ხალხს პატიოსანს და ხათრიანს ეძახის. სულ ამათი ბრალია წონაში რომ ვიპარავ, თორმე მე განა მაგისთანებს ვიკადრებ! შე ოხერო, ერთხელ პური სწორად ამიწონია და შეხედე რაღა სასწორს—არ უნდა დამიფასო?

კაკო კაკუნაური

ფუნიკულორის კარუსელთან

ფუნიკულორზე მოწყობილ კარუსელს პარკის ადმინისტრაცია სუსტ მომსახურებას უწევს. ხშირად ბავშვებს და მათ მშობლებს უხდებათ კარუსელის ტრიალი.

ნახ. შ. ბერიტაშვილისა



— რად დაგესხა თავბრუ!—კარუსელმა გატრიალა?
— არა, კარუსელი ვატრიალე?

ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲬᲔᲡᲘ ᲐᲥᲕᲡ

ნახ. გ. ფირცხალავასი

— ეს კახეთის მატარებელია შვილო?
— არა დედი, კახეთის მატარებელზე ასეთ ზედახორას რა უნდა—ეს დიზელია.

ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ

(ჩვეულებრივი ამბავი ჩვეულებრივი სინამდვილიდან)

ამას წინათ მეზობელის
ბავშვი გახდა უცებ ავად
ია სასწრაფო დახმარება
მოვიწვიეთ სანახავად.

დავურეკეთ:—ალლო, გესმით?
მუხის ქუჩა ნომერ რვაში,
დახმარება გვინდა თქვენი,
ცუდათ არის ერთი ბავშვი.

და ყურმილში ეს მოგვესმა:
— სახელი და გვარი მისი,
ის დედამამას რა ჰქვიანო,
მხომ არ არის ბავშვი სხვისი?!

გვიპასუხეთ: სახლს ნომერი
როგორი აქვს: კენტი, წყვილი?!
წლოვანობა, ეროვნება,
ვაჟია თუ ქალიშვილი?!

სახლი კერძო პირისაა,
თუ ეკუთვნის მმართველობას,
ან ეგ ბავშვი ახლა ავად
რამ გახადა ამ რთველობას?!

რაო? კარგი... უეჭველად
სანიტ-ავტოს დავძრავთ მალე,
რაც დაგვაკლდა ანკეტისთვის
მანდ შევავსებთ გენაცვალე...

მაგრამ იმათ მოლოდინში
კარგა ხანმა გაიარა,
ველოდებით არ სჩანს ავტო,
„სხვა მოდის და, ის კი—არა;

ვაი თუ გზაში გაუფუჭდათ,
სუსტია და ვერ იარა“.
იმათ ცდაში... ავადმყოფმაც
უკვე ფეხზე გაიარა...

კ. ᲒᲔᲚᲐᲗᲔᲚᲘ

ᲒᲐᲠᲐᲗᲔᲑᲘ ᲜᲘᲐᲜᲒᲡ

პატივცემულო ნიანგო!

გთხოვთ დაგვეხმაროთ ერთი სადავო საკითხის გადაწყვეტაში.

აქამდე ფუტკარს ჩვენ ვთვლიდით მწერად და ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა. მაგრამ ამ უკანასკნელ დროს ზოგიერთი ამხანაგი გვედავება—ფუტკარი მწერი კი არა, ცხოველიაო.

შეიძლება თქვენც უცნაურად მოგეჩვენოთ ეს შეხედულება, მაგრამ აღნიშნული ამხანაგები თავიანთი აზრის დასამტკიცებლად იყენებენ მეტად სერიოზულ ნივთიერ საბუთს—რაიონულ გაზეთ „ჭარელის კოლმეურნეს“. საქმე ის არის, რომ აღნიშნულ გაზეთში მიმდინარე წლის 5 ივნისს დაიბეჭდა წერილი—„ვებრძოლოთ ფუტკრის სიდამპლეს“. წერილში გარკვეულად ნათქვამია „ფუტკარი ისეთივე არსებაა, როგორც სხვა ცხოველი“.

წერილის სისწორეში შეიძლება დაეჭვებულიყო კაცი, რომ მისი ავტორი აგრონომი არ იყოს. მოდი და ნუ დაუჯერებთ ისეთ კაცს, რომელიც ამ დარგის სპეციალისტია.

პატივცემულო ნიანგო! ჩვენ მხოლოდ ის გვაინტერესებს, რაც შეიძლება სასწრაფოდ გადაწყდეს ეს სადავო საკითხი, რადგან, თუ კი დადასტურდება, რომ ფუტკარი ცხოველია, მაშინ საჭირო იქნება რაიონულმა გაზეთმა იმის შესახებაც დაბეჭდოს აგრონომის წერილი, თუ რამდენი თივა უნდა მოამზადონ კოლმეურნეობებმა ზამთარში ფუტკრის გამოსაკვებად.

ნ. ᲜᲣᲙᲠᲘᲫᲔ

ᲫᲛᲐᲝ ᲜᲘᲐᲜᲒᲝ

ყვარლის რაიონში არსებობს სოფელი შაქრიანი. ეს სოფელი, მართალია, ნამდვილად შაქრიანი არ არის, მაგრამ სტუმრები უხვად მობრძანდებოდნენ და კახური მასპინძლობის მოწმენი გახლდნენ. ამჟამად აღარავინ გვეკარება, რადგან სოფლის გზები ისეა მინგრეულ-მონგრეული ზედ ჯამბაზსაც გაუჭირდება გავლა. სოფლის შუაგზაზე წყალმა გაიკვალა, სოფელთან მისასვლელი ბოგირი დანგრეულია და ჩვენი ტრანსპორტი ლამის არის სულ მოწყდეს რაიონს. თვითმფრინავით მაინც დაგვათვალიერეთ, ძმაო ნიანგო, რომ ზოგიერთ შაქრიანელ „მასპინძელს“ კუდი აუწვათ.

შაქრიანელი

ნახ. **დონისა**

რა ექიმი დასნეულდეს

„ჰაიდპარკში გამართულ მასობრივ მიტინგზე ინგლისის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ჰარი პოლიტმა აღნიშნა, რომ ბრიტანეთის ახლანდელი მთავრობა ცდილობს მალამოთი და სახვევებით მოაშუშოს ინგლისის ჭრილობები, ნაცვლად იმისა, რომ მკაცრი ქირურგიული ოპერაცია გააკეთოს“.

ლოიდი — ძალიან დამიძველდა ეს სახვევები, ექიმო, იქნება ადამიანური წამალი რამ გამომიძებნოთ!

სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, კარლო კალაძე, უჩა ჯაფარიძე, ს. ფაშალიშვილი, გრ. აბაშიძე (პ/მგ. რედაქტორი).

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 3-10-49

ხელმოწ. დას[illegible] 1947 წ. 27/IX. [illegible]. ბ. ბერიაძის სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28. გამოც. № 96 შეკ. № 1247. ტირ. 7500 უე 10468.